# სახალხო გაზეთი

№ 220 კვირა, 30 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 220

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თეთო სტამბა „სხორაძან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საშუადღევოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



კვირას, 30 იანვარს, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დაბა უ ყ ი რ ი ლ ა ს, დავით და კონსტანტინეს ეკლესიაში

## დეკანოზ დავით ღამბაშიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, რასაც აუწყებენ ნათესავთ, პატივისმცემელთ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი, შვილები, ძმები და რძლები.

გარდახდილ იქნება აგრეთვე ორმოცის წირვა და პანაშვიდი კვირას, 30 იანვარს,

ქ. ტ ფ ი ლ ი ს ს,

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 11 ს. 30 წ.

გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი კვირას, 30 იანვარს,

ქ. ქ უ თ ა ი ს ს,

სობოროში. დასაწყისი წირვისა 10 საათზედ. (2—2)



ღრმის მწუხარებაში მყოფი ფეფო, გოლა და ვახალ აბრახამენი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 იანვარს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქმარი—პირველის და მამა—უკანასკნელთ

## გრიგოლ იესეს ძე აბრახამე.

დაკრძალვა დ. ყვირილაში, 30 იანვარს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1028—2)



ძვირფას მეუღლის

## სპირიდონ ლევანის ძის ნორაკიძის

ტრაგიკულად გარდაცვალების ორი წლის თავზე, კვირას, 30 იანვარს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქნება, წირვის შემდეგ პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარე ქვრივი ნატალია ნორაკიძისა. (1—430—1)



ვასილ გრიგოლის ძე ფურცელაძე მშობლებით, სოლომონ მიხეილის ძე და ალექსანდრე სოლომონის ძე ჯაფარიძეები, ალექსი, დიმიტრი და ივანე პეტრეს ძენი ეპიტაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ მეუღლისას, მეორენი—რძლისას, მესამე—ასულისას, მეოთხე—დისას და უკანასკნელნი დისწულისას

## ანიკო სოლომონის ასულის ფურცელაძისას

პანაშვიდები დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე და ხვალ, 31 იანვარს, საღამოს 5 საათზე. ბინა: პირველი კობის ტუპიკი № 8. დაკრძალვა სოფ. მერეთში. (1—1029—1)



ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

სამშაბათს, 1 თებერვალს, 1911 წ., გაიმართება კითხვა

## „სიცოცხლის ღირებულება"

(თავის მკვლელობაზე)

1) მ. ა. ანდრეევი: სიცოცხლის ფასი, თავის მოკვლა ისტორიულ-უფლებრივის თვალთ-საზრისით. 2) პროფ. ე. დ. ფურაკოვსკი: სულიერი სილატაკე. 3) ა. ი. შალხაზოვი: თვით მკვლელობის ნიმუშები მწერლობაში, (ანნა კარენინა, იური სვარონიჩი და ნაუმოვი). 4) ა. ს. ბაბოვი: სიცოცხლის ღირებულება და საზოგადოების სამსახური. 5) გ. ბ. გვაზავა: თვით მკვლელობანი.

6. ხელოვნების განყოფილება: ქ-ნ კონსტანტინოვისა და ბ-ნ კაპანაძის მონაწილეობით. 7) დასასრულ კამათი.

ბილეთის ფასი შესაძლებლად დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილ. 10—2 ს. და 6—10 საღ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(2—1030—1) ადმინისტრატორი თ. დოლიძე.



ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 30 იანვარს, სახალხო მუსიკალური საზოგადოება სდგავს ო პ ე რ ა ს

## ევგენი ონეგინს.

მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები: კოლოტოვი და გლებოვი, ქ-ნ ზიკოვისა, გულულოვა, ნიკოლაევა, ოსიპოვა და სხვანი. ბილეთები 5—80 კაპეიკამდე. დირიჟორი პ. პ. ფალიაშვილი. ადმინისტრატორი თ. დოლიძე. (1—481—1)



ტელეფონი № 882. ქართული თეატრი წარმოდგენა № 51 (8)

კვირას, 30 იანვარს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## დ ა - ძ მ ა

ისტორ. დრ. 5 მოქ. გ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გვარამძე, ქივიძე, ზარდალიშვილი, შასხი, მდივანი, მატარაძე, შველიძლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, მალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივის.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-სასა. რეჟისორი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

შემდეგი ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, 2 თებერვალს წარმოდგენილი იქნება „მეფე ივანე IV მრისხანე". (3—1027—3)



## მიიღება ხელის მოწერა

არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:

## „ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ამ წიგნში შევა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოვებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. თელავში: ვანო პაატაშვილთან.

დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (5—2)



ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის

## საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას. პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთი"-ს გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემის თაობაზე მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს გ. ს. რცხილაძეს (იზმაილოვის ქუჩა, № 2). (10—10)



ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ცდენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასი, სიმღერისა (solo), თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio) და ხორო კლას. დაიწყება 2 იანვ. ყოველ დღე (კვირა-უქმ. გარდა) მთელ სასწავლო წლის განმავლობაში, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანტორაში. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად კიდევ: ფორტეპიანის კლას. ტფილ. საიმპერ. სამუსიკო სასწავლებელ დამთავრებული თამ. ს. შაბურთვისა და სკრიპკის კლას. გამოჩენილ სკრიპკის დამკვრელ. სოლისტ ფრანც ონდრიჩეკთან (ვენაში) კურს-დამთავრებული ვ. კ. რომიშოვსკაია. სწავლის ფასი: ფორტეპ., სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ., თეორია, და ნოტების კითხვა 15 მან. წელიწადში, სწავლის ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლისა წინ და წინ.

სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან. (8—332—8)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერცხლის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ღამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ზ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემთხვევაში. სიფასური. (200—5.—383)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

ბარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პაპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5,—546)



ტფილისის ყასაბთა და ძეხვის მკეთებელთა ურთიერ დამხმარე

## საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ საზოგადოების კრებაზე, რომელიც დანიშნულია დღეს, კვირას, 30 იანვარს, საზოგადოების კანტორაში, ტროიცკის ქუჩაზე, სახლი № 14.

(1—432—1 გამგეობის თავმჯდომარე გიორგი ჯავახოვი.



ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)



ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—30)



ექიმი ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთ 5—7 ს. გოგოლისა და პატკანოვის ქუჩების კუთხე N 24. 0—306



ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—77



ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—73



ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყარჯანოვის ქ., N 20. (0—5.—87)



ექიმი ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი, (50—15—16



ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.



ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (ფ)



ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის ბაზრის ქ. ტელეფონი N 816.



ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)


## ტფილისი, 30 იანვარი

**დასავლეთ გუბერნიების ერობათა კანონ-პროექტი სახელმწიფო საბჭოში.**

სახელმწიფო საბჭო შეუდგა დასავლეთ გუბერნიებში ერობათა კანონ-პროექტის განხილვას. ეს პროექტი სტოლიპინის შემოქმედების პროდუქტია. დასავლეთ გუბერნიებში პოლონელები მოსახლეობენ. როგორც რუსებზე უფრო კულტუროსანმა ერმა, მათ შესამჩნევად წინ წაიწიეს და გავლენა მოიპოვეს ამ გუბერნიებში. პოლონეთის გაძლიერების შიში იყო, რომ მთავრობა ამ გუბერნიებში ერობის შემოღებას ერიდებოდა. ბოლოს დროს ერობის შემოღება აუცილებელი გახდა, და მთავრობამაც შეიმუშავა ისეთი პროექტი ერობისა, რომელიც ერობის მნიშვნელობას სრულიად აქარწყლებს. მთავრობის პროექტით ამომრჩეველნი ნაციონალურს კურიებად იყოფა. ასეთი დანაწილება მთავრობას საშუალებას აძლევს ხელოვნურად გააძლიეროს რუსის ელემენტი იქ, სადაც იგი ფაქტიურად ყოველ-გვარს ძალასაა მოკლებული. პროექტით, ფაქტიური შედგენილობა საერობო დაწესებულებათა არ შეესაბამება სინამდვილეს, რომელიც უპირატესობას არა რუსებს ანიჭებს. ასეთი მდგომარეობა, თქმა არ უნდა, დაჰბადებს ნაციონალურს შუღლს, რომელიც ძირშივე მოსპობს საერობო თვით-მმართველობის მნიშვნელობას.

რუსეთის ზომიერი ელემენტი კი წინააღმდეგნი არიან ამნაირი მდგომარეობისა და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს პოლონელებში უფრო გაამწვავებს ნაციონალურ გრძნობასაო. მართლაც, საერობო თვით-მმართველობა მხოლოდ ადგილობრივ სამეურნეო საქმეებს უნდა ემსახურებოდეს. რაც უფრო მეტად იქნება განდევნილი პოლიტიკა საერობო დაწესებულებიდან, მით უკეთესია თვით საქმისთვის. მთავრობის პროექტით კი სწორედ პოლიტიკას ეძლევა ფართო ადგილი. ნაციონალურ საარჩევნო კურიებზე აგებული საერობო თვით-მმართველობა ნაციონალურ ბრძოლის ასპარეზად გადაიქცევა. ეს გზა ძალიან სახიფათო გზაა, და განსაკუთრებით მთავრობისთვის, რომლისთვისაც მაინცა და მაინც ძალიან სასიამოვნო არ უნდა იყოს პოლონელთა ნაციონალურ გრძნობის გაღიზიანება.

ადვილად შესაძლებელია დღეს რუსის ელემენტი გამარჯვებული დარჩეს დასავლეთ გუბერნიების თვითმართველობაში; მაგრამ ის ეფექტი, რომელსაც ეს რეფორმა მოახდენს, პოლონელთა ეროვნულ გრძნობის გაღვიძების იმდენად ძლიერს იმპულსად გადაიქცევა, რომ ნავარაუდევი სარგებლობა სრულიად დაიჩრდილება. დევნა და ნაციონალური ბრძოლა პოლონელებსაც შეაკავშირებს და განამტკიცებს იმ აზრს, რომ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში პოლონელებს არ შეუძლიანთ თავისუფლად განავითარონ თავიანთი კულტურული ძალა. საეჭვოა, რომ ასეთი უკიდურესი აზროვნების განმტკიცება სასარგებლო იყოს მთავრობისთვის.

სახელმწიფო საბჭოს ცენტრი მომხრეა მთავრობის კანონ-პროექტისა. მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარეც კატეგორიულად აცხადებს, რომ ნაციონალურ კურიების აღიარება აუცილებელია. საბჭოს ოპოზიცია წინააღმდეგს ამტკიცებს, მაგრამ საეჭვოა, რომ მისმა სამართლიანმა შენიშვნებმა მიზანს მიაღწიოს და უკვე გადაწყვეტილი ბედი კანონ-პროექტისა სხვანაირად დაატრიალოს.

## სახელმწიფო საბჭო.

აკიმოვი თავმჯდომარეობს სხდომას დაესწრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, სათათბიროს დეპუტატები და აუარებელი ხალხი.

მორიგ საკითხად დასავლეთ 6 გუბერნიაში ერობის შემოსაღები კანონ-პროექტია.

მომხსენებელი პიხნო პროექტს აზრად აქვს დასავლეთ მხარეში წმინდა რუსული ერობა შემოიღონ. საარჩევნო ცენზი სათათბიროს მიერ ნავარაუდევზე უფრო უნდა შემცირდეს. პიხნო სთხოვს საბჭოს კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით მიიღონ.

მეორე მომხსენებელი სტიშინსკი. საჭიროა ამომრჩეველნი კურიებად დაიყოს, საარჩევნო უფლება სამინისტროს წინადადებით უნდა მიენიჭოთ, მიწის გარდა ცენზი 15,000 მან. განისაზღვროს, მართლმადიდებელ სასულიერო წოდების წარმომადგენლობა დაწესდეს, ერობის აღმასრულებელ ორგანოთა შემადგენლობა კანონით განისაზღვროს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მთავრობა შესაძლებლად ჩასთვლიდა პიხნოს შესწორებას მიმხრობოდა, რათა მემამულეთა საარჩევნო ცენზი შემცირდეს ერთის მეხუთედით. სასულიერო წოდებიდან სამაზრო ერობაში 3 წარმომადგენელი იყოს, ხოლო საგუბერნიოში—4 და ერობის გამგეობაში თავმჯდომარედ რუსი იყოს.

ამასთანავე, უმთავრესად საჭიროა ეროვნულ კურიის შექმნა, ესე იგი, ცალ-ცალკე განყოფილებათა დაარსება, ურომლისოდაც კანონ-პროექტს მთავრობის მიერ ნავარაუდევ ნაყოფს ვერ მოიტანს. დანარჩენ მოსაზრებას კამათის დროს გამოვსთქვამთ.

**ოლიზარი** აღნიშნავს, დასავლეთ მხარეში არავითარი პოლონური ძალმომრეობა არ არსებობს, ნამდვილი ბატონი იქ რუსეთის მთავრობაა. ამ კანონ-პროექტის განხორციელება ეროვნულ წოდებრივ განხეთქილებას გამოიწვევს. ორატორს უკვირს, თუ კი მთავრობას პოლონელნი კულტურულ ელემენტად მიაჩნია, ერობის გამგეობაში რატომ ჰსურს თავიდან მოიცილოს. ეს კანონ-პროექტი, არც რუსებს აკმაყოფილებს, არც—პოლონელებს, არც სხვა ეროვნებათ. პიხნოს შესწორება საქმეს უფრო ახდენს, ვინაიდან წვრილ ამომრჩეველთ გზას უხსნის, რაც ორატორს არ მოსწონს. პოლონეთის კურიის გაცალკევება პოლონელთა შოვინიზმს განავითარებს და პოლონელსა და რუს მოქალაქეს საერთო ასპარეზზე მოღვაწეობას შეუძლებლად გახდის. ამაზე ორატორი პროექტს ხმას არ მისცემს.

**გრაფ ვიტტე** ისტორიული ცნობა მოჰყავს გლეხთა განთავისუფლებიდან, როდესაც გლეხობა უმაღლესად იმდენად კულტურულ ხალხად მიიჩნიეს, რომ ერობაში მემამულეებთან გაათანასწორეს. 25 წლის შემდეგ გლეხობის უფლებანი შეზღუდეს, ხოლო 15 წლის მერე კვლავ მოიწვიეს სხვა წოდებასთან თანაწორის უფლებით. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ დასავლეთ მხარეში რუსული სული ტრიალებს, ეს უპირველესად გლეხობის, მერმე სამღვდელოების და ბოლოს რუსეთის ბიუროკრატიულ მთავრობის წყალობით, და არა კერძო მიწის მუშათა—რომელთა უმრავლესობაც დღეს ამხედრებულია. ამისათვის ერობაში მხოლოდ გლეხობას უნდა გავუხსნათ გზა: მაშინ დასავლეთ მხარეში ერობა ნამდვილად ჭეშმარიტი რუსული იქნება. კანონ-პროექტი კი გლეხობას გზას არ აძლევს და პოლონელთა კურიას კი აარსებს. ეს ყოვლად არა სახელმწიფოებრივი ნაბიჯია. ორატორი საკუთარის დაკვირვებით ამტკიცებს, რომ დასავლეთ მხარეში გლეხობა მომწიფებულია და მათზე მინდობა შეიძლება. ხოლო თუ კი მათ არ ვენდობით, მაშინ, უმჯობესია დავიცადოთ, სანამ საკანონმდებლო დაწესებულებანი მათ კულტურულად და პოლიტიკურად მტკიცე ელემენტად მიიჩნევს მაშინ საკითხი თავის თავად სწყდება, ანტი-რუსულ და ანტი-სახელმწიფოებრივ კანონ-პროექტთა განუხორციელებლადაც. რასაც ორატორი კენჭის-ყრის დროს ხმას არ მისცემს.

შემდეგი სხდომა 1 თებერვალს მოჰხდება.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**თ-დი გოლიცინი** თავმჯდომარეობს.

ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტზე კამათობენ.

**რაჭკოვის** აზრით კომისიის ზომები უილაჯოა ამ საქმეში: ლოთობის მოსასპობად ხალხის შეგნება, განათლება და 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებაა საჭირო (მარცხნივ ტაშის ცემა).

**გერასიმენკო.** ლოთობის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ და არა არყის სმის წინააღმდეგ. ამისთვის საჭირო არაა არყის სიმაგრე 20 გრადუსზე ჩამოვიყვანოთ, ან თითო მსყიდველს მისი ყიდვის უფლება განუსაზღვროთ.

ლოთობის მოსასპობად, ორატორის აზრით—სოფლებში არყის დუქნები უნდა დაიკეტოს და მხოლოდ ქალაქებში არსებობდეს: ეს ზომა ხარჯებს შეამცირებს და არყის ფასის შემცირებაც შესაძლო გახდება.

**ამსენკო.** საჭიროა, გლეხებს მიწები მიეცეთ და საერთო რეფორმები მოჰყვეს, მაშინ ლოთობაც იკლებს.

**ერმოლჩიკის** აზრით არყის დუქნები უნდა შემცირდეს.

**ისტროვსკის** აზრით არყის ხდა სრულებით უნდა მოისპოს.

**დეგრიანინოვი** წინადადებას იძლევა პროექტის მუხლობრივ განხილვას შევუდგეთო.

**შეტროვსკი.** ლოთობა საზოგადოებრივი ბოროტებაა, მასთან ბრძოლას მხოლოდ საზოგადოება შესძლებს. ამისათვის საზოგადოებას უნდა მიენიჭოს თავისუფლება კრებისა, კავშირებისა, თორემ შესაშინებელის ზომებით ვერას გავხდებით.

ამ პროექტზე კამათი მომავალ სხდომამდე გადაიდო. 11 ახალი კანონ-პროექტს ღებულობენ, რომელის სწრაფ-განსახილველად მიიჩნიეს.

რუსეთის საიმპერატორო თეატრალურ საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენას უარჰყოფენ.

კაპუსტინის მოხსენებით ღებულობენ კანონ-პროექტს, რომლითაც ქალებს ნება ეძლევათ გამოცდაზე გამოცხადდნენ, სწავლულთა და გიმნაზიის მასწავლებლობის წოდება მიიღონ. მათი გამოცდა სახალხო მინისტრის მიერ დანიშნულ კომისიაში მოჰხდება. მოწმობა-მიღებულ ქალთ ისეთი უფლება და ჯამაგირები მიეცემათ მთავრობის სასწავლებლებში, რაც მამაკაცებს.

ადესიდან ახალ არჩეულ დეპუტატს ბარონ რენოს არჩევნებს ამტკიცებენ. ყირგიზის ველზე გავრცელებულ სნეულების მოსასპობად 40,205 მანეთის გადადების პროექტს იხილავენ.

სათათბირო ამ პროექტს ერთხმად ღებულობს.

**თ-დ გოლიცინის** მოხსენება შეაქვს, ალთაის სამთო ოლქის თავისუფალი ადგილები გადმოსახლებულთათვის დაინიშნოს. ეს ადგილები მის უმაღლესობას ეკუთვნის. მის გამოსასყიდად ხაზინას დესეტინაზე 22 კაპეიკის ანგარიშით გაუსწორდეს 49 წლის კანმავლობაში, ხოლო პირველად ფულის შეტანა 5 წლის მერე მოჰხდება, როდესაც ეს მიწები გადაეცემათ.

**სკორხოდოვი.** კაბინეტს უფლება აქვს მადნეულობითა და ქარხნებით ისარგებლოს (დედოფალ ელიზავეტას მიერ ბოძებული). მაგრამ უმაღლეს ბრძანებაში პირდაპირ არაა აღნიშნული, რომ კაბინეტს ქარხნებთან ერთად გლეხებით დასახლებული ადგილებიც გადაეცა. ეს მიწები სახელმწიფოს კუთვნილებაა და მათი გამოსყიდვაც არ შეიძლება.

**გოიდაშნიკოვის** აზრით ალთაის ოლქის მიწები სახელმწიფოს კუთვნილებაა და ხაზინას უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს.

**მიაგკი.** ჯერ ციმბირის ძველი მოსახლეობა უნდა უზრუნველჰყოთ და მერე ახალ გადმოსახლებულებზე იფიქროთ.

**იანუშკევიჩი.** უმჯობესია კომისიის რედაქციას კენჭი ვუყაროთ, ეგებ თავისუფალი ადგილები ასეთის გზით მაინც გადავიდეს გლეხკაცობის ხელში, სახნავი მიწები ოხრად აღარ ეყაროს.

**გუბინსკი.** მომხრეა ეს მიწები გლეხ-კაცობას უსასყიდლოდ გადაეცეს.

**გულკინი.** საჭიროა მიწები ხაზინას უსასყიდლოდ გადაეცეს, ხოლო საჭირო არაა, სამხრეთ რუსეთიდან ახალ მოსახლეთ გადასახლება.

**ბერეზოვსკი მეორე** აიცავს მემარცხენეთა ასეთი კადნიერი მოთხოვნილება.

**მომხსენებელი თ-დი გოლიცინი** თავის აზრს იცავს.

კანონ პროექტს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

წინადადება შეაქვთ უმაღლეს სასწავლებელში აქმის მდებარეობაზე წარდგენილი შეკითხვის ვადა დაინიშნოს. ეს წინადადება უარჰყვეს.

შემდეგი სხდომა ხვალ მოჰხდება.

# ბუტურლინის საქმე

**ნაფიცი მსაჯული კაზარინოვი** მოწმე რაპგოფს ეკითხება: ბუტურლინის გარდაცვალებაზე შემდეგ ლასსის წინააღმდეგ მხოლოდ დრეიდენმა გაილაშქრა, თუ სხვებმაც.

**მოწმე** დანაწვრილებითი ცნობანი არა მაქვს.

როდესაც სასამართლომ განიძრახა რაპგოფისათვის ხალხის დაუსწრებლად გამოეკითხნა, ქ-ნ მურავიოვს ისტერიკა დაემართა, რის გამოც საღამოს სხდომა 8 საათისათვის გადასდვეს.

საღამოს სხდომაზე **რაპგოფი და დრეიდენი** ერთმანეთის პირის-პირ წააყენეს.

**დრეიდენი** უარჰყოფს, ვითომ ბუტურლინის გარდაცვალებისას მას რაპგოფისათვის ეთქვას, ლასსის ფულს გამოვსტყუებთო. დრეიდენი რაპგოფს „შავ ბრპოს" წარმომადგენელს უწოდებს, რომლის ხელობა ბნელი საქმეებიაო.

**მოწმე მახლოვი:** აფიცერი ილოვაისკის პარიზში პანჩენკომ საწამლავი მისცა. ვიბნევეცკის სიყვარულის წამალი შესთავაზა, რომლის მეოხებითაც ქალი შეიყვარებდა.

**მოწმე გახნჟვეცკი** პანჩენკოს მიერ ჩადენილ მის მიმართ თინს ადასტურებს და დასძენს, ერთს მეაფთიაქეს 2,000 მან. დასტყუა, რადგანაც წამალი შეცდომით აურევოდათ.

**პანჩენკომ** უარჰყო ილოვაისკისათვის საწამლავის შოვნა და განაცხადა: მე უბრალო ფხვნილი მივეცი და ილოვაისკის ჩემს ბინიდან შეეძლო საწამლავის მოპარვაო.

სასამართლომ გამოაქვეყნა ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ პანჩენკო პორნოგრაფიულ წერილების გამო პასუხის გებაში არა ერთხელ მიუციათ.

**მოწმე ენგლუნდი,** კოსმეტიურ სურნელოვან წამლობით მოვაჭრე, აცხადებს, ჩემს ლაბარატორიას პანჩენკო განაგებდა და თვეში 50 მან. ეძლეოდაო, მხოლოდ ლაბარატორიაში იშვიათად დაირებოდა.

**მოწმე ქალის ზაახის** ჩვენებას სასამართლო აქვეყნებს: ფულის გულისათვის პანჩენკო არაფრის წინაშე ჩერდებოდა. ერთხელ მითხრა: „პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი, რომელიც რამდენიმე 100 ათასს შემძენს. საჭიროა მხოლოდ მდიდარი ნათესავების ერთი-ორი მემკვიდრე თავიდან მოვიცილოვო".

**მოწმე კორაბჩევსკა:** პანჩენკოს თამასუქებზე ხელს ხშირად ვუწერდი, მაგრამ თითქმის სუყოველთვის ფულის გადახდა მიხდებოდა. ჩემს სამართლიან საყვედურზე მიპასუხებდა, დაიცადე და თუ ერთი კაცი საიქიოს გავისტუმრე, გავმდიდრდებიო და შენს სამსახურსაც არ დავივიწყებო.

**მოწმე ტუნეევი:** 1 909 წელს თებერვალს ვილნოს ერთად გავემგზავრეთ და სასტუმროში მოწმე ვიყავი პანჩენკომ ლასისაგან რომ ფული მიიღო. მათი ბაასისა ვერა გავიგე რა, რადგანაც ფრანგულად ლაპარაკობდნენ. პანჩენკომ მაუწყა, რომ მალე 10,000 ანჩხლ ვიშოვიო.

**პანჩენკო**—ეს თანხა ავრაროვიდან უნდა მიმეღო.

**მოწმე ქალი დე-ჟორჟი,** ქალ. მურავიოვის მეგობარი, მურავიოვს ახასიათებს, როგორც კეთილს, მაგრამ ანჩხლ ქალს.

წინასწარ გამოძიების ჩვენებაზე კი მოწმე დე-ჟორჟიმ ქალ. მურავიოვი დაახასიათა, როგორც ცეტი ადამიანი, რომელიც თავის თავს ტარნოვსკაიად სთვლიდა.

**თავმჯდომარის** შეკითხვაზე, რომელი შეკითხვა უფრო მართალიაო, მოწმე დე-ჟორჟიმ სთქვა: წინანდელიო.

შემოყავთ ტუსაღი მოწმე **ლოგაჩევი,** რომელმაც განაცხადა: პანჩენკო ციხეში გავიცანი. მან მითხრა ბუტურლინის მოსაწამლავად დიფტერიულ შრატის შესაძენად კრონშტატში ვიყავ. შრატი ზღვის ღორზე ვშინჯე.

**ბრალმდებლის** შეკითხვაზე—პანჩენკომ განაცხადა, ზღვის ღორის ამბავი მართალიაო. საერთოდ კი ლოგაჩევის ჩვენებაც სიყალბეაო.

სხდომის განახლებისთანავე **დე ლასსიმ** დაწვრილებით უამბო სასამართლოს, თუ როგორ გაიცნო რაპგოფი, შემდეგ ექიმი—დე-ლასსიმ სთქვა: პანჩენკო გავიცანი, რადგანაც იმ ხანებში ერთ ქალთან ვსცხოვრობდი, და როდესაც ქალი ფეხ-მძიმედ შეიქნა, მუცლის მოსაშლელად რაპგოფმა პანჩენკო მირჩია. ექიმმა 8000 მან. გამომართვა და ზოგიც ჩემი მინაწერი ბარათი შეინახა. შემდეგ მემუქრებოდა, ესე იგი მშანტაჟისტობდა. ვილნაში ხშირად მნახულობდა და გრაფ ვიტესთან ნაცნობობაზე ჩამომიგდებდა ლაპარაკს და მირჩევდა რკინის გზაზე საიჯარო საქმეები ამეღო. ახალგაზრდა ბუტურლინის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოება ბრალს მე მდებდა, მაგრამ საჯ იყო საბუთები. გამომძიებელმა მირჩია დამნაშავედ მეცნო თავი, თუ არა საქმე რამდენიმე წლიწადს გაჭიანურდებაო. ლასსის განმარტების შემდეგ ბრალმდებელმა ზოგიერთი კითხვა მისცა, მაგრამ ლასსიმ დადუმულობა მოიმიზეზა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარეთ.**

28 იანვარი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის ხარჯთ-აღრიცხვის კომისიამ მშვიდობიანობის დროს არმიის რაოდენობის კანონ-პროექტი მიიღო და ახლად წარმოდგენილი თხოვნის სესხიც დაადასტურა.

**სოფია.** მთავრობის მიერ წარმოდგენილი წინადადება ეროვნულ კრების მოწვევის თაობაზე, იმან გამოიწვია, რომ გარდა იმ ცვლილებისა, რომელიც უნდა მოჰხდეს ბულგარეთის დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადებისა გამო, აგრეთვე თვით კონსტიტუციის წესდებაში, როგორც მაგალითად: სამხედრო სამსჯავროს მშვიდობიანობის დროს მხოლოდ სამსახურში მყოფ სამხედრო პირების საქმის გარჩევა, ისიც მაშინ, თუ მათ დანაშაულობას სამხედრო წესების დარღვევის ელფერი აქვს. მეფეს უფლება უნდა მიეცეს უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულობა მოახდინოს, ისე, რომ თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს საერო საკრებულოს არ წარუდგენს დასადასტურებლად, გარდა სავაჭრო ხელშეკრულობისა, რომელიც მოქალაქეთა პირადი უფლებას შეეხება. დეპუტატთა რწმუნებულობა ხუთი წლის მაგიერ, 4 წლიანი იქნება. საერო საკრებულოს სესიები 2 თვის მაგიერ 4 თვემდე გაგრძელდება. შემოიღებენ კაბინეტთა სეკრეტერების თანაშემწეობას. მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცემა ერთი მინისტრის დანიშვნა განუსაზღვრელ თანამდებობაზე.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ, ფინანსიურ კანონის განხილვამდე, კანონის მუხლი მიიღო რომელიც მთავრობის რკინის გზის მმართველობას, კონტროლის დროს, ავტონომიას ანიჭებს.

**ბრიუსელი.** მსოფლიო გამოფენის გამართვის გამო 1446000 ფრანკი ზარალია. ერთ მილიონს მთავრობა კისრულობს, დანარჩენი კი—გამოფენისმომწყობი კომიტეტი.

**პარიზი.** სენატმა დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი—საფრანგეთში დროს აღნიშვნა გრინვიჩის მერიდიანის მიხედვით, მიიღო. დღეს ხმარებაში მიღებულ დროსთან გრინვიჩის—შედარებით, 9 წამით და 30 წუთ. უკანაა.

**პეკინი.** პრინც გუნას ბოროტგამზრახველები დაეცნენ. პრინცი სიცოცხლე საშიში არაა.

**სოფია.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა საერო კრებაში საგანგებო ხარჯებისათვის 25 მილიონის კანონ-პროექტი შეიტანა. კრედიტი სესხით დაიფარება, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინა 6—12 თვის ბილეთებს გამოსცემს.

**საფრანგეთი**

**დუზი** (არდენნის დეპარტამენტი). მფრენავი მოელი და დეპუტატი

# ქართულის თეატრის განახლება

„ხიმახინჯი", დრამა 4 მოქმედებად ბ. შიუკაშვილისა, ქუთაისის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი.

III

მაგრამ ერთი მხარე ბ. შიუკაშვილის პიესისა, რომელიც სახიფათოა. ბ. შიუკაშვილმა ერთგან ვიწრო და მეტად მოლიპული ბილიკი ამოირჩია და თუ მარტივი და დახელოვნებული მგზავრი არ აიყოლია, ადვილად მოუსხლტება ფეხი ამ მგზავრს, კისერს მოიტეხს და ნაწარმოების აზრსაც დაასახიჩრებს.

რამ მოუღუნა არსება სონას? რამ დაუძაბუნა სული და გული ამ ტურფა არსებას? რამ გაუქრო სიცოცხლის შუქი, რამ გაახმო უდროოდ ეს თვალწარმტაცი გაზაფხულის ყვავილი? უმაღლესის განათლების წყურვილმაო, თითქო გვეუბნებათ ავტორი. მაშასადამე, ძირს უმაღლესი განათლება, ასეთი უნდა იყოს მორალი ნაწარმოებისა. ამ ხელოვნურის თხზულების ასეთი განსჯა უსათუოდ უსამართლო და ზერელად მოფიქრებული იქნებოდა.

თავის-თავად ტრაგიზმი, ტრაგედიული პაფოსი ამ თხზულებისა. როგორც მოგახსენეთ, სულ სხვა ნიადაგზედაა აღმოცენებული. ამ საზარელ ტრაგედიის, არაკად ყოველდღიური მოვლენა აქვს და ვამხობ ისეთი მოვლენა, რომლის ცალმხრივმა გაგებამ შეიძლება კაცი შეცდომაში შეიყვანოს. უმაღლესი განათლება ადამიანისა, დამღუპველია თუ არა? ნუ თუ უმაღლესი განათლება სულითა და ხორცით ადამიანს ამახინჯებს? ნუ თუ ავტორს თავის ჩინებულ ნაწარმოებში ამისი თქმა სწადდა?

ჩვენის აზრით, ავტორმა ანგარიში გაუწია ჩვენში „დიპლომის" წყურვილს, მოარულ სენად გადაქცეულს და ამ მოვლენას თავისებური მკაცრი მსჯავრი დასდვა. ხოლო რამდენადაც ამ საგანში ავტორმა გაბედულება გამოიჩინა, იმდენად ისეთ ფაქიზს საგანს შეეხო, რომ შესაძლოა მისი აზრი არა მისდა სასურველად იქმნეს გაგებული.

ერთ-ერთი მომქმედი პირი, სონას მეგობარი მარო ავტორისაგან დაწუნებული „განათლების" თაობაზე ასე ებაასება სონას: „ეგ აუდიტორიებიც (უნივერსიტეტში) რაღაც მოდად ვაიხადეს... ეგ ახალთაობა, მომეტებული ნაწილი—მარტო სახელისათვის და გასართობად ცდებოდნენ კურსებზე... წასული ბევრი მინახავს, მაგრამ, აბა, ერთი დამისახელე, რომელს უდგას თვალში ჩინი?". მართლაც და ამაზე პასუხი გაეცით ავტორს. იმას ხომ ვერ დავმალავთ, რომ დღევანდელ დღეს „დიპლომი" ისეთსავე სატრფიალო საგნად გადაიქცა, როგორც უწინ „ოფიცერის ხარისხი" იყო ჩვენის „ბრწყინვალე" წოდებისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის უცქველი მოვლენა, რომ უნივერსიტეტისაკენ დღეს უმეტესი ნაწილი მიისწრაფვის, არა როგორც სამეცნიერო ტაძრისაკენ, არამედ, როგორც ისეთს დაწესებულებისაკენ, სადაც „დიპლომებს" აცხობენ.

უმეტესი ნაწილი მეთქი მიდის „დიპლომის" მისაღებად, და დიდი აუარებელი — ასში — ოთხმოცდაცხრამეტი—ბრუნდება მარტო „დიპლომით" აღჭურვილი, და თუ ოდესმე, რამე ოცნება ასულდგმულებდა, იმას საუნივერსიტეტო ქალაქში სტოვებს და ცარიელ-ტარიელი ესტუმრება ხოლმე სამშობლოს „გასაბედნიერებლად". ამ წყებას არა თუ არავითარი კულტურა არ შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში, წინააღმდეგ, რეგრესის გზაზედა სდგას და რაღაც ფირფიტანათი აღჭურვილი საზოგადოების მტრებს უფრო უწყობენ ხელსა. „დიპლომი" ნებას აძლევს ამ ვაჟბატონებს ცრუ მედიდურობისა და გაბერილ თავმოყვარეობის წიაღში გახცხრომით განისვენონ და ყოველივე ეროვნული საქმე აბუჩად აიგდონ, „მოხელეობის" ღვთაებას შესწირონ, თუ კი რამე ნიჭი და ცოდნა მოსდევთ. არ შეიძლება მწერალმა, რომელიც საზოგადოების ერთგვარი ბარომეტრია, ამგვარ მოვლენას ანგარიში არ გაუწიოს და ცოტა ცხარედაც არ მოეკიდოს. უნდა გადავეჩვიოთ იმ ფიქრსა და იმ ოცნებას, რომ „დიპლომი" ან უნივერსიტეტი ჰქმნის ადამიანს. ადამიანი უნივერსიტეტს გარეშეც მოიპოვება და მრავალს შეხვდებით ცხოვრებაში, „დიპლომი" ჯიბეში არა ჰქონდეს და გონებით კი უფრო განვითარებული იყოს, ვიდრე აუარებელი „დიპლომოსანი". როგორც „კნიაზობა" არავითარ ნიჭსა და ცოდნას, არც ადამიანობას არ აძლევს კაცს, ისე არც „დიპლომი". „ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას და არა „დიპლომოსნებს", დაუმატეთ ჩვენ. მარტო „დიპლომზე" რომ იყოს საზოგადოების ზრდა და განვითარება, მაშინ ჩვენზე უფრო ბედნიერი ერი არ იქნებოდა ქვეყნიერობაზე. ჩვენი „დიპლომოსნები", უმეტესი ნაწილი მათი, ჩვენის ერის დაქვეითებისა და გადაგვარების უფსკრულში გადაჩეხვას აჩქარებენ. გონებით და სულით ღატაკნი, თავისს სიდუხჭირის მთელს ერს ახვევენ თავზე: კარიერას სწირვენ ეროვნულ კულტურას ამა სოფლის სიამეს მოსაპოებლად. ეროვნულ კულტურას ზურგს აქცევენ მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი სულით გლახაკნი, ვერავითარ კულტურას ვერ ითვისებენ. სხვა ქვეყნებში უნივერსიტეტს, უმაღლესს განათლებას თავისი სპეციალური საგანი აქვს, — მეცნიერების სამსახური, ხოლო დიდი უმეტესობა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა სრულიად არ არიან „დიპლომით" აღჭურვილნი. ჩვენში „დიპლომიანები" ხშირად გონებით განვითარებულის პირადობის სრულს ანტიტეზს წარმოადგენენ. მიიხედმოიხედეთ ჩვენს გარშემო და თქვენ ჰნახავთ, რომ მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ფხა გამოუჩენია უფრო არა-„დიპლომოსანს", „დიპლომოსნებს" კი, უმეტეს ნაწილად, სახელი გაუტეხიათ განათლებისა და გონებრივობისათვის. განა ილიას ან აკაკის დიპლომი ჰქონდათ, თუმცა, რასაკვირველია, უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული? კი მაგრამ ყაზბეგს, ვაჟას—რა დიპლომი აქვს მიღებული? რა დიპლომი აქვს ბარე ორიოდე ჩვენს საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საუკეთესო ტიპის საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ რაც უნდა შეურყეველი იყოს ეს ნიადაგი, ავტორს ყოველთვის შეგვიძლიან ვუპასუხოთ, ათას უნივერსიტეტ გათავებულში ორი კაცი რომ გამოვიდეს სახელოვანი ერისათვის, ისიც მოგებაა. აქაც თავისებური შერჩევა ჰხდება და რამდენად უფრო მეტი იქნება რიცხვი, იმდენად ეს შერჩევა ადვილია და უფრო მეტად შერჩეული გამოვა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ცხოვრებაში ცოდნა, განათლება—განვითარებული გონება—პირველი საქმეა და პირველი პირობა საზოგადოების კულტური ზრდისა და განვითარებისა მაგრამ ძალაც ის გახლავთ, რომ როდესაც ჩვენს „დიპლომოსნებსა", და განათლების შორის დიდი ზღვარია. განათლების, განვითარებულ გონების ადგილს უვიცობა და უცოდინარობა კი ვერ დაიკავებს, მაგრამ განათლება და გონების განვითარება ჩვენს „დიპლომოსნებს" როგორღაც უკან დარჩათ.

და ბ. შიუკაშვილიც სწორედ „დიპლომოსნების" უნაყოფობით არის გულ ნატკენი, თორემ, „მე ხომ განათლების წინააღმდეგი არა ვარო", გვეუბნება ავტორი მისი ვექილის—ილიკოს—პირით, „მე ვარ

სამხედრო ჰაეროპლანით საცდელ ფრენას ახდენდნენ. 80 მეტრის სიმაღლეზე რომ ავიდნენ, მანქანა უეცრივ მოიშალა და ქვევით დაეშო, მოტორმა ორივე გასჭყლიტა.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** სენატმა ნაფიცვექილის თანაშემწის, პეტროსიანცის (მოსკოვში) საკ საციო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. პეტროსიანც არისტანთა განყოფილება აქვს მისასჯელი კლიენტების ფულის გაფლანგვისათვის.

**ჰელსინგფორსი.** ყინვისაგან გატაცებული 100 მებადურთა ნავი იამბურგის ნაპირზე გადაარჩინეს. გემი „სამპო" არ დაბრუნებულა.

**ნამქერი.**

**სიმფეროპოლი.** ყირიმში არაჩვეულებრივი ყინვები დაიჭირა. მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან. მრავალი საქონელი დაიხოცა.

**ნიკოლაევი.** არა-ჩვეულებრივი ყინვებია. სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა ნიკოლაევ-ოდესის ლიანდაგზე შესწყდა.

**ოდესა.** ზღვა 50 ვერსის მანძილზე გაყინულია. გემთა მიმოსვლა შესწყდა.

**ევპატორია.** მკაცრი ყინვები დაიჭირა.

# სტუდენტების მოძრაობა

**დეპეშა**

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტი ორის დღით დაიკეტა. ქალთა უმაღლესი კურსები და რაევის კურსებიც დაიკეტა. სატეხნოლოგო ინსტიტუტში ხმათა უმრავლესობით გაფიცვა უარყოფილია. ელექტროტეხნიკურსა და სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლა წესიერად სწარმოებს.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტსა და ქალთა უმაღლეს კურსებზე მსმენელები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან და სწავლის ძალად შეწყვეტას ლამობენ. სალამოთი უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა მოხდა. ქალთა უმაღლეს სასწავლებლის მათემატიკურ განყოფილების მსმენელები გაფიცვას არ მიემხრნენ.

**მოსკოვი.** უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე რექტორმა და პრორექტორმა განაცხადეს, რომ სამსახურს თავს ანებებენ, საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ უნივერსიტეტი მარხვის პირველ კვირამდე დაიკეტოს.

—

პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობის გამო „გოლოს მოსკვი" შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს.

გამოიცა რამდენიმე პროკლამაცია პეტერბურგის სოციალ-რევოლუციონურ პარტიისაგან. დარიგდა მრავალი მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ სრულიად რუსეთის სტუდენტთა გაფიცვა გამოცხადებულ იქნება 26, 27 ან 28 იანვარს; ლოზუნგად წამოყენებულ იქმნება დაბრუნება დაპატიმრებულ და გამორიცხულ ამხანაგებისა, ამასთანავე მოთხოვნილ იქმნება გაუქმება მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, რომელიც უკრძალავს სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებელში კრების გამართვას.

როგორც იტყობინებიან, გაფიცვა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე სტუდენტების მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

დღეს უნივერსიტეტში თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა სტუდენტმა. ყველამ ერთხმად მოითხოვა საერთო გაფიცვა, მაგრამ საკოალიციო კომიტეტის რჩევით გაფიცვა ამ კვირის ოთხშაბათისთვის გადაიდო.

ამის შემდეგ სტუდენტების ერთმა ჯგუფმა უნივერსიტეტში რევოლიუციონურ სიმღერით გაიარა. მემარჯვენე ჯგუფებიც ემზადებიან მომავალ ამბების დასახვედრად.

სტუდენტთა ზომიერი ჯგუფები სცდილობენ ხელი შეუშალონ მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფების იარაღით შეტაკებას.

23 იანვრის თარიღით „რეჩს" ატყობინებენ, უნივერსიტეტში აკადემიური ცხოვრება თავის კალაპოტში დგებაო. პროფესორები ყველა ფაკულტეტზე ლექციებს უკითხავენ სტუდენტების უმრავლესობას. სტუდენტების ეკონომიურმა ორგანიზაციებმა, სტუდენტების ურთიერთ დამხმარე საზოგადოებამ და საექიმო ფაკულტეტის სტუდენტობამ სწავლა განაახლა.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებათა წევრები, თანახმად მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, უფლებას მოკლებულნი არიან კრება მოიწვიონ მიმდინარე საკითხების გამოსარკვევად.

უნივერსიტეტის ძველს შენობაში ერთმა ჯგუფმა სტუდენტებისამ განცხადება გამოჰკიდა, რითაც ურჩევენ ამხანაგებს თავიდან აიცილონ ყოველგვარი არეულობა.

„კასპი"-ს დეპეშით ატყობინებენ: დილიდანვე უნივერსიტეტში აღელვება იყო. შეიკრიბა ორიათასამდე სტუდენტი. გადაჰყარეს რეზოლიუციები, რომლისაც გაფიცვა იქმნა გამოცხადებული. ერთმა სტუდენტმა სიტყვა სთქვა და გაფიცვა მოითხოვა. გაფიცვის წინააღმდეგი ბლომა-ჩნდა შვიდი კაცი. გაფიცვის გამოცხადების შემდეგ სტუდენტები მღერით დაიშალნენ. ნაწილი სტუდენტებისა შევიდა აუდიტორიასა და ლაბარატორიებში, რათა სხვებისათვისაც დაეშალათ მეცადინეობა. პროფესორთა რჩევა თავის მიზანს ვერ აღწევდა.

—

ქალთა საექიმო ინსტიტუტში მსმენელებმა რეფერენდუმი მოახდინეს, უმრავლესობა გაფიცვას მიემხრო.

—

სატეხნოლოგო ინსტიტუტში მალე მოხდება რეფერენდუმი გაფიცვის გამოცხადების გამო. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს ჯარი ახვევია; სწავლა წესიერად მიდის.



† დეკანოზი დავით ღამბაშიძე.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

◆ დღეს, 30 იანვარს, საღამოს 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში **ხმოსანთა კერძო თათბირი** მოჰხდება ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნების თაობაზე.

◆ ხვალ, 31 იანვარს, **ტფ. ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება მოჰხდება. ამ კრებაზე, **სხვათა შორის,** აირჩევენ ქალაქის გამგეობის წევრს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა უკანასკნელმა საჭირო მიწა დაუთმოს ტფილისში განზრახულ **სამრეწველო-სატეხნიკო სასწავლებელს.**

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში **„თავისუფალ სიყვარულის ლიგა"** აღმოაჩინეს, რომელშიაც თურმე მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლენი ორთავე სქესისა. სამოსწავლო ოლქმა ამ საქმის გამორკვევას უკვე შეუდგა. ამას გარდა კავკასიის ნამესტნიკმა ტფ. ვიცე-გუბერნატორს ჩერნიავსკის დაავალა, ეს საქმე დაწვრილებით გამოიძიოს.

◆ წელს მიწადმოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 3.000 მან. მისცა კავკასიაში **ბალახის თესვის** საქმის გასაუმჯობესებლად. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, ამ ფულით უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული პირი მოიწვიოს წელიწადში 1,800 მან. ჯამაგირით და სოფლებში გაჰგზავნოს ბალახის თესვის რიგიანად დასაყენებლად.

◆ სატახტო გაზეთების სიტყვით, საბოლოოდ გადასწყდა **შავი ზღვის რკინის გზის** გაყვანა.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სცენაზე ქართულად წარმოადგინონ შემდეგი **პიესები:** „გაიძვერა" პოტაპენკოსი, თარგმანი პ. ყიფიანისა და „შემთხვევა", დრამატ. ეტიუდი ილია ელეფთერიძისა.

◆ 5 თებერვალს **ტფ. საარტისტო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება მოჰხდება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და მამასახლისთა ასარჩევად.

◆ დღეს 40 დღე შესრულდა, რაც **დეკანოზი დავით ღამბაშიძე** გარდაიცვალა. ამის გამო დღეს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდი იქნება გადახდილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

◆ ერევნის **ქალაქის მოურავად** არჩეულ იქმნა ი. ფ. ტიგრანოვი, რომელიც წინად ალექსანდროპოლის ქალაქის მოურავად იყო.

◆ სამხედრო უწყება მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, 10.000 მან. გადასდოს ტფილისში **სამხედრო აეროკლუბის** მოსაწყობად.

◆ 28 იანვარს ტფილისში შეიპყრეს ნერსეს ვართანიანი და გიორგი ხარებაშვილი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით **გადასახლებულნი** იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირის მახლობლად იპოვეს **უცნობ კაცის გვამი.** პირისახე მკვდარს სულ გატყავებული აღმოაჩნდა, ამიტომ მისი ვინაობის გამორკვევა ჯერ ვერ მოახერხეს. ფიქრობენ, რომ უცნობი ვინმე მწყემსია, სადმე სხვაგან მოუკლავთ და ამ სოფლის მახლობლად მოუტანიათ.

◆ დღეს 30 იანვარს **ნაძალადევის სცენის მოყვარეთა** წრის მიერ, ბ-ნ სვიმონიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება „პეპო" ბ-ნ სუნდუკიანცისა. წარმოდგენის შემდეგ ბ-ნ ჩარკვიანის ხორო სახალხო სიმღერებს შეასრულებს.

◆ გამოვიდა მორიგი (8) ნომერი ყოველ კვირეულ ჟურნალ **„ცხოვრება და ხელოვნებისა".**

◆ დღეს, 30 იანვარს 1911 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის ვლ. ს. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება, ცნობილი ისტორიული პიესა **„და ძმა"** დრამ. 5 მოქმ. ვალ. გუნიასი. უმთავრესი როლები განაწილებულია დასის საუკეთესო ძალთა შორის. გაიოზ ფალავას როლს შეასრულებს ბ-ნი მესხიშვილი.

**ქ უ თ ა ი ს ი**

◆ ამ რამოდენიმე დღის წინად, ქალაქიდან სადღაც მოულოდნელად გავიდა ქალაქის საავადმყოფოს ქირურგი როდზევიჩი. როგორც გამოირკვა, ამის მიზეზი ყოფილა შანტაჟისტთა მუქარის წერილები, რომელშიაც სთხოვდნენ როდზევიჩს ათას მანეთს. უკეთუ არ მისცემდა ქალაქიდან უნდა გასულიყო, თორემ უკანასკნელ შემთხვევაში სიკვდილით დასჯას ემუქრებოდნენ. როგორც ხმა დადის, როდზევიჩს ქალაქის თვით-მმართველობაშიაც მისდიოდა უსახელო წერილები, რომელშიაც უსახელო ავტორი ბრალსა სდებდა ბ-ნ როდზევიჩს სხვა-და-სხვა უკანონო მოქმედებაში. თუ ეს ხმები მართალია, თავის თავად ცხადია, რომ ბოროტ-მოქმედების სათავე, უფრო სხვაგან უნდა ეძიონ, ვინემ შანტაჟში. ამის შესახებ ექიმთა საზოგადოების კრებაა მოწვეული და იმედია, რომ ჯეროვან ყურადღებით მოინდომებენ დამნაშავის გამორკვევას. მით უმეტეს, რომ ბ-ნი როდზევიჩი დიდად პატივსაცემი კაცი იყო მთელი ქუთაისისთვის, როგორც სპეციალისტი და როგორც ადამიანი.

◆ 25 იანვარს დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს სტუდენტი ვლ. ბაქრაძე. წინა დღით პოლიციას გაუჩხრეკია ბაქრაძის ბინა, წაუღია ხელთ-ნაწერები და გაზეთებისგან ამონაწერი, ზოგიერთი ქართველ ახალგაზდა მწერალთა ლექსები, რომელიც გასარჩევად ჰქონდა გადაცემული ბ-ნ ბაქრაძეს.

◆ 22—25 იანვრამდე ქუთაისში თითქმის დღე და ღამე ითოვა და ძველ თოვლს დაემატა კიდევ ერთი არშინი თოვლი. ქუჩებში და ეზოებში გავლა შეუძლებელი გახდა; ზოგან სახურავები ჩამოინგრა; სანოვაგის საშინელი ძვირობაა. დღეს 25 იანვარს დილით აღმოსავლეთის ქარმა ამოუბერა.

# ჟურნალისტის დღიური

4

**ქართულ-რუსული ლექსიკონი.**

დიდი ხნის უმოქმედობის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ძლივს გადასწყვიტა საქმის გაკეთება. დიდი ხანია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წიგნები აღარ გამოუცია, თუ მხედველობაში ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკას არ მივიღებთ. საზოგადოდ, აღსანიშნავია, რომ წიგნების გამომცემლობას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება როგორღაც ერიდება. კერძო ლაპარაკიდან გაგვიგია გამგეობის წევრებისაგან, უფულობა გვიშლის ხელსაო. ამ ბოლო დროს კერძო გამომცემლებმა დიდი ფხა გამოიჩინეს. სულ რამდენისამე თვის განმავლობაში ბევრი საკმაო დიდი წიგნით გაამრავლეს ქართველ მკითხველის ბიბლიოთეკა. „გლეხიკაცის" ისტორიის მეორე გამოცემა, „პოლიტიკურ ეკონომიის მოკლე კურსი", „ნოე ჟორდანიას"-ს ნაწერები, „ერი და კაცობრიობა", ბატონისა, „ვეფხის ტყაოსნის" ახალი გამოცემა, „სოროპანის" ამხანაგობის გამოცემანი,—ეს სულ დიდი წიგნებია, რომელნიც მკითხველებმა სულ მცირე ფასში მიიღეს. განზრახულია კიდევ მრავალი გამოცემა. საკითხავია, როგორ მოახერხეს კერძო გამომცემლებმა ასეთი წიგნების დაბეჭდვა? განა დასაჯერებელია, რომ ამ კერძო გამომცემლებს მეტი თავისუფალი თანხა აქვთ, ვიდრე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას? სრულიადაც არა. მაგრამ ინიციატივა იყო, გამრჯელობა, საქმის საყვარელი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობაში კი სიზარმაცეა, ინერტობა, ინიციატივის უქონლობა.

წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოება დიდი ნდობითაა აღჭურვილი. მას თავისუფლად შეეძლო ამ ნდობით ესარგებლა და წიგნების გამომცემლობა ძალიან ფართოდ დაეყენა. მას მეტი საშუალება ექნებოდა დღევანდელ მომენტისთვის შესაფერისი მასალა ამოერჩია დასაბეჭდათ და გამომცემლობისთვისაც უკეთესი ხელ-მძღვანელობა გაეწია. მაგრამ გამგეობას სძინავს, დიახ, სძინავს... მოდუნებული, ღონე-მიხდილი გამგეობა თავის უმოქმედობით გულ-გრილობას აჩენს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაინტერესებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედებით. ინტერესს აცხოველებს საქმიანობა; გამგეობას უნდა დაეწყო ისეთი საქმე, რომელიც გააცხოველებდა საზოგადოებაში ინტერესს და მის ყურადღებას კვლავ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი მიიპყრობდა. ფართო ნიადაგზე დაყენებული წიგნების გამომცემლობა ამ ინტერესს დაჰბადებდა. მაგრამ გამგეობამ ეს არ მოისურვა ან ვერ მოახერხა.

გაზეთებიდან გავიგეთ, რომ გამგეობას ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესწორება, შევსება და გამოცემა გადაუწყვეტია. გაზეთებივე გვაუწყებენ, ამ საქმის შესრულება მიენდო ბ-ნ დ. გ. კარიჭაშვილსაო. არ ვიცით, გამგეობის გარდაწყვეტილებაა ეს, თუ კერძო დავალება გამგეობის რომელიმე წევრისა. მაგრამ როგორც უნდა იყოს, ეს საქმე იმდენად საყურადღებოა, რომ ასე ადვილად მისი გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია. ლექსიკონების შედგენა არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება პირველის შეხედვით გვეგონოს. არც ის არის ადვილი გადასაწყვეტი, შეიძლებიან თუ არა ერთს კაცს ასეთს მძიმე და პასუხის-საგებ საქმეს გაუძლვეს. ყოველს შემთხვევაში ეს განზრახვა დიდს მოფიქრებასა თხოულობს, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობაც ვალდებულია ჯეროვანის სიფრთხილითა და მოფიქრებით მოეკიდოს მას.

**შანაური.**

# წერილი სოხუმიდან

მეტად სასიამოვნო და მასთან სასიმედოა, რომ ქართველი ქალი კვლავ საზოგადო საქმეს უბრუნდება და საქველ-მოქმედო ასპარეზზე მამაკაცს გვერდში უდგება. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართველმა დედამ თვით-მოქმედებაც დაჰკარგა და უბრალო—უშინაარსო და ფუქსავატ ცხოვრებას მიეცა. თითქმის მთელმა საუკუნემ ამ ყოფაში განვლო, და აი ეხლა—უკუ ძალ-ღონე მოცული ქართველი დედა ისევ გამოდის საზოგადო სარბიელზე და მასაც უნდა საგრძნობელი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. ამ საერთო გამოფხიზლებაში სოხუმელი ქალები თავიანთ დებს არ ჩამორჩნენ. საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ სოხუმის ქველმოქმედება ქალთა მადლიანი ხელის ნაყოფია.

14 იანვარსა, წმ. ნინოობის დღე სოხუმელ ქალთ ბრწყინვალეთ იდღესასწაულეს. 7 იანვარს დიდით პატივცემულ მ. ნ. ანჩაბაძის თაოსნობით ქართველ ქალთა თავი მოიყარეს თვითმმართველობის დარბაზში და გარდასწყვიტეს ერთხმად

---

წინააღმდეგი იმ განათლებისა, რომელსაც არაფერი საქმიანობა არ მოსდევსო" ამ გვარად ვერც მაშინ უკიჟინებთ ავტორს, თუ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ჩვენში ავადმყოფობად გადაქცეულს „დიპლომის" მოპოების ქავილს. ხოლო მაშინ სულ ენა უნდა მოვიკვნიტოთ, თუ კი ავტორი გვეუბნება, „მე იმ განათლების წინააღმდეგი ვარ, რომელიც უსაქმურებისა და „ოცის" რიცხვის ქურუმების მეტს არას გვიზრდისო.

ეს ყოველივე ასეა, მაგრამ ბ. შიუკაშვილმა მაინც ერთი უტაქტობა, უხერხულობა, ჩაიდინა, და შესაძლოა აქ იყოს თავი და თავი მიზეზი, რომ მისი ჩინებული ნაწარმოები სხვაგვარად გაიგეს. ბ. შიუკაშვილი პიესის დასაწყისშივე ილიკოს (იგი ყოველთვის ავტორის სიმპატიისა და ანტიპატიის გამომსახველია) ისეთი არაკი ათქმევინა, რომელიც სწორედ „მეწვრიმალნურის" ფილოსოფიის მოსარჩლეობას შეაწამებინებს კაცს. ძერას ბარტყის სურვილი, რომ „ბოლომდის იხილოს უსაზღვრო მშვენიერება", სასაცილოდ იგდებს, სასტიკად სჯის ამ გვარ წადილს და არაკის აზრს ამგვარად გვიხსნის: „ყველა უსაზღვრო ბედნიერებას ეპოტინება, თავის ძალ-ღონეს ალევს უდროოულად გაღვიძებულ სურვილებს და ამით არამც თუ ისპობს მომავალს, არამედ აწმყოს შესაძლებელ კეთილდღეობასაც იშხამავს". უკვე ბ. შ. მესხიშვილმა აღნიშნა, სრულიად კანონიერად, რომ ეს მორალი და ეს ფილოსოფია ყოვლად შეუსაბამოა და მოუთმენელი. ადამიანის ცხოვრება მარტო იმიტომ არის მშვენიერი, იმიტომ არის მოსაწონი, რომ მისი „გული კრულია, ხარბი და გაუძღომელი". „დაე უსაზღვრო სიმშვენიერის მოტრფიალე" ძერის ბარტყი „ძირს დაენარცხოს. ამგვარი დანარცხული და დამარცხებული უხადო მსხვერპლია, მსხვერპლი მიუცილებელი, რომელზედაც შენდება დიდებულება ადამიანის ცხოვრებისა. წუმპეში წოლა, რაგინდ ხანგრძლივი იყოს იგი, მიწის ჩიჩქნა—არასოდეს არ შეიძლება იმ ადამიანის იდეალად, გახდეს რომელიც ცხოვრებას თავში უნდა უდგეს, რომელმაც ცხოვრებას აზრი უნდა მისცეს და მისი მომავალი თავისის სისხლითა და ცრემლით შეჰქმნას. მართალია, ყველას ფრთები როდი შესწევს უსაზღვრო სივრცეში სანავარდოდ, მაგრამ ყველამ რომ ასე იფიქროს, ცა ადამიანისათვის დაიკეტება და მარტო მიწის ორმოში ცქერა თვალებს დაუბრმავებს. ეს უხერხული ადგილი მარტო იმას გვაჩვენებს, რომ ავტორის ხელოვნება ბევრად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე მისი ფილოსოფია. ეს მეწვრიმალნური ფილოსოფია თავის დღეში ვერ მისწვდება იმ ტრაგედიულ საშინელებას, რომელშიაც კეთილისა და ბოროტის საზღვარი გადათელილია, და რომელიც ხელოვანის მადლიანმა კალამმა თვალ-წინ გადაგვიშალა ესდენ საშინელის ტრაგიზმით. აღსავსე ნაწარმოებისათვის სრულიად მეტი იყო იმ „არაკის" ჩაჩხირვა, რომელიც სტილის მხრითაც უადგილოა ასეთ ღრმა დრამაში. ასეთის ნაწარმოებისთვის, რომელსაც საგნად აქვს კაცის საუკუნო ბედისწერა, სრულიად უადგილოა პუბლიცისტიკა და მსჯელობა იმაზე: სასარგებლოა, თუ დამღუპველი „მოდნური" განათლება.

გარეშე ამ ნაკლულევანებისა, თუ ეს ნაკლულევანებად არ ჩავსთვალეთ, ჩვენის აზრით, ასეთი დრამა ჩვენში სამაგალითოა.

ერთმა ჩემმა მეზობელმა, მაყურებელმა, წარმოდგენის გათავების შემდეგ, მითხრა, „ქართველმა მწერალმა თავის ნაწარმოებს თავის დღეში სახელი არ უნდა მოაწეროს და ან ფრჩხილებში ჩაუმატოს ვითომც ეს ნაწარმოები ნათარგმია. ამ დრამას რომ ქვეშ ეწეროს უცხო სახელი, რას ვიტყოდით?"

სავსებით მესმის მთელი სიმწარე ამ სიტყვებისა და სრულიად თანახმა ვარ, ამ დრამას, რომ ქვეშ ბ. შიუკაშვილის მაგიერ, იუშკევიჩი ეწეროს გინდ ჰანრი ბატაილი— სულ სხვა გვარი ბედი მოელოდა ამ ნაწარმოებს.

**კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება).

ახლად დაარსებულ ქართულ სკოლის სასარგებლოდ გაემართათ „ქართული საღამო“. თავიანთ შორის იქვე გაინაწილეს სხვა და სხვა როლები და თავდარიგს შეუდგნენ. თითქმის მთელი კვირა მოუსვენრად მუშაობდნენ. მათ ხელს უცერავდა ბუნება, მთელი კვირის განმავლობაში გამუდმებით სთოვდა და სთოვდა, მაგრამ კაცის ენერგიას წინ რა დაუდგება? დადგა თოთხმეტი იანვარიც, და მოწვეულმა საზოგადოებამ თავი მოიყარა მშვენივრად მორთულ დარბაზებში—კლუბისა და კრუჟოკისაში. ორივე დარბაზი მზრუნველი ხელით გამშვენებულიყო ყვავილებითა და მწვანეთი,—მეტადრე კლუბის დარბაზი. ამ მოწყობაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს გსანდილევსკიმ მეუღლითურთ. აქ, სუხუმში, დიდი დარბაზი აღარ მოიპოვება, და ამიტომ კლუბი მოაწყვეს მოწვეულ სტუმართათვის (არა ქართველთათვის) მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო, რომელზედაც სხვათა შორის მშვენივრად წაიკითხა ორი ლექსი რუსულად ქ-ნმა ო. ა. გეორგობიანისამ.

ბოლო კრუჟოკის დარბაზში (ორივე ერთ შენობაშია), ქართულად წარმოადგინეს ბრანდესის „სლუმარი“ და ვოდევილი „უბედური დებიუტი“. მოთამაშეებმა ორივე პიესა მშვენივრად ჩაატარეს. თამაშობდნენ ქუთაისიდან მოწვეული არტისტები მ. მდივანი, ივ. ბარველი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი ქ. ერქომაიშვილი და არ. ლოლუა. საღამო ცეკვით დასრულდა. უცხო სტუმრები გააკვირვა ჩვენებურმა თამაშობამ—უზუნდარამ და ლეკურმა.—ამ საღამოსათვის სპეციალურად გამოიწერეს, სამტრედიიდან ზურნაცკი, რომ მეტი ნაციონალური ელფერი მიეცათ საღამოსათვის. საერთო შემოსავალი 1200 მან. იყო. ნაღდად 600—700 მანეთამდე დარჩათ. ქება და დიდება კერძოდ სოხუმელ ქალთ და საერთოდ სოხუმელთ, რომ არაფერს არ იშურებენ თავიანთ ახლად გახსნილ სკოლისათვის. ვუსურვოთ, რომ თვით სკოლამა და მის ხელმძღვანელთ გაემართლებინოს ის იმედები, რასაც საზოგადოება ამყარებს მათზე. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, რომ არა ქართველთ—უფრო ბერძენთა და სომეხთ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინეს ქართველთ ამ საღამოზე.

**მამუთ-ბეგ.**

## მელიტონ ჩოგოვაძის ხსოვნას
(† 1910 წ. 31 იანვ.)

ხვალ ერთი წელიწადი სრულდება, რაც დასავლეთ საქართველო უდროოდ გამოესალმა ერთ თავის ძვირფას შვილთაგანს—მ. ი. ჩოგოვაძეს. 31 იანვარს გამოგვესალმა ეს ნამდვილი ადამიანი გამსჭვალულის ქრისტიანულის სიყვარულით და ენერგიულის მუშაკის პედაგოგიურ ასპარეზზე.

თუმცა ერთმა წელმა განვლო მის შემდეგ, რაც ცხოვრების ულმობელმა ქარიშხალმა გადასტყორცნა უფსკრულისკენ კიდევ მხნე და სიცოცხლით სავსე უმწიკვლო მუშაკი, მაგრამ მისი ხსოვნა ჯერედ არ გაქარწყლებულა მის მოწაფეებთა გულიდან და კუბოს ფიცრამდეც ვერ დავივიწყებთ.

დღეს, მის გარდაცვალების წლის თავზე, გავიხსენოთ ძვირფასი მასწავლებელი და მისის რწმენითა და მოსიყვარულეობით განმსჭვალულნი ვიდიოთ მის მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას.

**გენ. მ—ძე.**

## ზინგერის დაკრძალვა

როგორც ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან, 23 იანვარს, (5 თებერ.) ზინგერის დაკრძალვა დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა.

ბერლინს არ უნახავს ასეთ მრავალ რიცხოვან ხალხის ერთად თავის მოყრა. პროცესიაში მონაწილეთა რიცხვი რამდენიმე ასი ათასს აღემატებოდა. და თუ გარეშე მაყურებლებსაც მივუმატებთ, ერთ მილიონს ადვილად დააკლდებოდა-რა. სამგლოვიარო პროცესია „Vorvarts'a“-ის რედაქციიდან გამოვიდა, სადაც მაცვალებული იყო დასვენებული და გამართა ქალაქის სასაფლაოსკენ. პროცესიას 10 კილომეტრის სიგრძე ჰქონდა. გზა და გზა პროცესიას უერთდებოდნენ სოციალდემოკრატების წევრები. კუბოს ზინგერის მახლობელი მეგობრები მისდევდნენ, მათ შემდეგ კი—სხვა და სხვა დეპუტაციები. სოციალისტურ ემბლემებით შემკულ ბაირაღებით.

პროცესიას ორი ორკესტრი აცილებდა სამგლოვიარო მუსიკით. მიძღვნილი ჰქონდა 3 ათას გვირგვინამდე; სასაფლაომდე მისვლას 5 საათი მოუნდნენ. პოლიცია პროცესიაში არ ერიოდა. წესიერებას იცავდნენ სოციალდემოკრატების წევრები, რომელნიც განირჩეოდნენ სხვა ხალხისგან წითელ ნიშნებით. უწესოება არ მომხდარა. სასაფლაოზე სიტყვები სთქვეს სოციალისტურ ორგანიზაციების დელეგატებმა, ავსტრიიდან (გერმანელები და ჩეხები), საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან და რუსეთიდან. ბებელი პროცესიაში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან ავადმყოფობისა გამო ექიმს აეკრძალა.

## ქიათურის მუშათა შორის

მოგეხსენებათ რომ ჭიათურაში შავი ქვის საბჭო არსებობს, რომელსაც ოციოდე დღიური რემონტის მუშა ჰყავს. ოთხ—კაცს დღეში 1 მან. 50 კაპ. ეძლევათ, დანარჩენებს კი—თითო მანეთი. სამუშაო დღე 8 საათია დაწესებული მაგრამ როდესაც ათი საათის მუშაობა იყო, მაშინაც არ ყოფილა ასეთი არეულ-დარეული სამუშაო ფულის მიღება. ექვს-შვიდ კვირაში ერთხელ თუ დაურიგებენ ჯამაგირებს, ისიც განა მთლად 6—7 კვირის ნამუშავარში ორ სამ კვირისას აძლევენ, დანარჩენს უკან იტოვებენ. თუ რომელიმე მუშამ ფული მოსთხოვა, უპასუხებენ თუ მუშაობა გნებავთ ამ პირობებში იმუშავეთო და თუ არა—მიბრძანდითო. რას უნდა მივაწეროთ ესეთი საქციელი, როდესაც თვიურ მუშებს ყოველ—თვის თავზე ურიგებენ ჯამაგირს, დღიურებს კი შვიდ-რვა კვირამდე არ აძლევენ თავის ჯამაგირებს? საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საბჭომ და დღიურ მუშების ჯამაგირების დარიგება მოაწესრიგოს.

**ჯ.**

# უცხოეთი

**იემენში.**

საქმის ვითარება იემენში ამ ჟამად გამოურკვეველია. ოსმალეთის მთავრობა დიდად სცდილობს, იემენიდან რაიმე ცნობები მიიღოს, მაგრამ ამაოდ, რადგან ტელეგრაფის მავთულები ყველგან გადაჭრილია. სტამბოლში რადაც ურუ ხმები მოდის, საიდანაც სჩანს, რომ იემენში რამდენიმე ცხარე შეტაკება უნდა მომხდარიყოს მეამბოხეთა და ოსმალეთ ჯარის შორის. შედეგი ბრძოლისა არ იციან.

**გაფიცვის მოლოდინი მადრიდში.**

ამ ჟამად დღე-დღეზე ელიან მადრიდში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის დაწყებას. ამ დღეებში მოსამსახურეთ მადრიდის ერთს თეატრში დიდი მიტინგი გამართეს, რომელსაც 30,000 კაცი დაესწრო. მიტინგს თავჯდომარეობდა ცნობილი სოციალისტი ბარრიო, რომელმაც რკინის გზის მოსამსახურეთა სახელით განაცხადა, რომ მათ სურთ შეუერთდნენ მუშათა სინდიკატების კავშირს. მიტინგმა მსჯელობა იქონია რკინის გზის კომპანიების შესახებ, რომელნიც მოსამსახურეთ აძულებენ, დღე-ღამეში 18 საათს იმუშაონ. მიტინგმა დაადგინა, გაფიცვა გამოაცხადოს, თუ მთავრობა თვით არ გააუმჯობესებს რკინის გზის მუშათა მდგომარეობას.

**სპარსეთის მინისტრის მოკვლა.**

სპარსეთის ფინანსთა მინისტრის მოკვლის მიზეზი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. წინად ჰფიქრობდნენ, რომ ეფოფი იყო, მაგრამ ამ ჟამად მკვლელობის გამო სხვა და სხვა ხმები დადის. დემოკრატები ამ მკვლელობაში პოლიტიკურ სარჩულ ჰხედავენ. ზოგი ამ მკვლელობის მომწყობად სთვლის მიიუს-სალთანეს, რომელიც წინად რუ კოლ-უცონტროლობდა, ახლა კი რეაქციონერთა ბანაკში გადავიდა. ხალხი მეტად მკვლელობას პირად შურის ძიების ნაადლვებულია რუსეთის წინაღმდეგ, რადგან მკვლელნი რუსის ქვეშევრდომნი არიან. მინისტრის მოკვლის დღეს ბევრმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მიიღო მუქარის პროკლამაციები, რომელზედაც დაკრული ბეჭედი „მაუზერსა“ და ხანჯალს გამოეხატავდა პროკლამაციებში ეწერა, ან იმუშავებთ ქვეყნის სასარგებლოდ, ან სასიკვდილოდ მოემზადეთო.

# განცხადებანი


სუსუნატის წინაალმდეგ
ახალი წამალი
„SALO-პიჩილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Кончеймa.
თახ-დადებით იგზავნება. გაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.
კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.
Метцль. 12429. 45—4—1

◀ მშობიარეთათვის ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., ბებიათ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—53)

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. მელიქსანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.
ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ- და ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. მ. მელიქპაშა-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 სათ. 606 წამლობა
კონსულტატიურად
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
ველიკოკნიაჟის ქ. N 9, გარანცოვის ძეგლის მახლობლად.
ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები ზ. ა. ზედალინი და ი. მ. ზაგლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა მიღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.
შეხვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ერლიხ-ჰატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—20)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გ ა ი ხ ს ნ ა
მუხრანსკის ახალი კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. აბგეროვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაროვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეთოვ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ, (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალმიკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—20)

დაიკარგა ტყავის საფულე უვადო პასპორტით და სხვა დოკუმენტებით.
ქართულ თეატრში 27 იანვ. საღ. 9 ს.
მპოვნელს ვთხოვ განაცხადოს სახსტუმრო „მეტეხში“, რისთვისაც მიიღებს კარგ საჩუქარს.
(2—427—1) ნოე სიხარულიძე.

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
წიგნი
თვით-მასწავლებელი, 128 სახატით.
ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бухъв. пер. 2. собс. домъ.
(100—336—17)

ერთად-ერთი თვეზიუულობის საწყობი ფითოვგის მრეწველობის
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარადანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 ძ. მარ.
აგრე ვიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—91)
ერთად-ერთი საწყობი ფითოვგის მრეწველობისა.
ხიზილალა (Кетовая) ხიზილალა


ალექსანდრე
თაბაგრის
მაღაზია
საკერავი და საქსოვი
მაშინები
ქუთაისი, ალექსანდროვის ქ.
გრამოფონები, ველოსიპედები
და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდ ზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში

გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.
(50—269—8) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

საკერავი მაშინა
ზინგერის კომპანიისა
იყიდება
მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ — КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ
მაღაზიის ნიშანი.
ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან
უფთხილდით სიყალბეს
მაღაზიები ყველა ქალაქებში.
(0—246—9)

ფირმა არსებობს 1840 წლ.
უმაღლეს ხარისხის
ჩაი
ბუბკინ
კუზნეცოვის ამხ.-სა
ЗАЯВЛЕНЪ ОТДѢЛУ ПРОМЫШЛЕННОСТИ ТОРГОВЫЙ ЗНАКЪ
სავაჭრო ნიშანი
ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 60 მილ.
იშოვება ყველგან
ნაღდ და ყაიდ ვაჭრობა ნარდად
ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.
(20—140—11)

საპონი ◀ ვაშენი ▶
ინგლისურ ქარხნ. კლინალ ლიმიტედისა,
თეთრეულს 15 წუთში ჰრეცხავს, ხელით ჰუჰყნა და მანქანა არა სჭირდება. თუ სცდით, დარწმუნდებით, რომ ეს რეკლამა არ არის და თეთრეულს 1½ მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.
იგი თეთრეულს სრულებით არ აფუჭებს.
მის ხმარებას განსაკუთრებული ცოდნა არა სჭირდება.
რადგანაც ყალბად დამზადებული, როგორც გარეგნულად, ისე სახელწოდებითაც „ვაშენეს“ ამსგავსებენ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ოქროს მედალს, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიც. დამღაზეა № 10490—12752, ხოლო ინგლისურ პატენტზე № 295350.
მოითხოვეთ ყველგან.
მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალინი,
მთელის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელნი ზ. ნ. ხოხრიანცი და ტ. ზ. ბახშინოვი.
С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
(5—622—3) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ
ამ საბრეშუმო სეზონისათვის გვაქვს მეცნიერულად გაუმჯობესებული ჯიშების ლ ო ჟ ი ე ს ფირმის შემდეგი აბრეშუმის თესლები: 1) ყვითელი, შერეული აზიური; 2) მსხვილი პარკი, ჩალის ფერი, ვაარის ჯიში; 3) მოგრძო პარკი, მკრთალი ყვითელი ლოჟიედ წოდებული და 4) საშუალო პარკი, მძიმე, ყვითელი ლოჟიედ წოდებული; თეთრი ჯიშების გვაქვს: 1) ბრუსისა; 2) კორეისა; 3) ანდრიანოპოლისა და 4) ბაღდათისა.
თესლები მომზადებულია თანახმა პასტერის სისტემისა და შემოწმებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ.
წარსული ცდის შემდეგ მოგახსენებთ, რომ წინაღმდეგ მტრების ენებისა, ამ ჯიშების შესანიშნავ თესლებში ყოველ გან: ხონში, სამტრედიაში, დიდი ჯიხაიშში, სენაკში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და სხვაგანაც მეტი ფასი მისცეს მყიდველებმა, რადგანაც მეტად სასარგებლოა მეაბრეშუმეთათვის. შეიძინეთ მხოლოდ გაუმჯობესებული ჯიშების სალი აბრეშუმის თესლები, რომლის პარკსაც ყოველგან დიდი მოთხოვნილება აქვს.
ნაღდად მყიდველთათვის ღირს 2 მან. 60 კ. 6 მისხალი. იცნება სამ მისხლიანი კოლოფებიც. ამ ფასიდან გამყიდავ აგენტებს ეძლევა შრომის შესაფერი სასყიდელი.
სანდოებს ან საზოგადოებისაგან წარმოდგენილ პირებს მივიღებ აგენტებად. მეაბრეშუმეებს თესლთან ერთად მიეცემათ დარიგების ფურცლები. კრედებზედაც მივცემ დარიგების მისაცემად, როცა ამაზე თავის სურვილს შემატყობინებს რომელიმე საზოგადოება.
პარტიობით მყიდველ-გამყიდველთ ვთხოვ მოველაპარაკონ და მომმართონ შემდეგის ადრესით: ითხებ კაკაბიძეს—ქუთაისში. (9—1205—1)




რედაქტორ-გამომცემელი ირაკლი ლონდლაშვილი.